

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

მაუწყებლების ახალი ამბების წინასაარჩევნო
მედია მონიტორინგი

ანგარიში

(31 აგვისტო-25 სექტემბერი)



თბილისი, 2016

პროექტის შესახებ

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 11 ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებს.

მონიტორინგი ხორციელდება შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, GDS, ტაბულა, კავკასია, ტვ პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 31 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- თუ წინა საანგარიშო პერიოდებში სამონიტორინგო არხების უმრავლესობა საკუთარი ეთერის ყველაზე მეტ ნაწილს საქართველოს მთავრობის საქმიანობის გაშუქებას უთმობდა, ეს ტენდენცია შეიცვალა. არხები ამ პერიოდში ყველაზე მეტ დროს პოლიტიკურ პარტიებს უთმობდნენ.
- 11 არხის მონაცემების მიხედვით, მთავრობას ყველაზე დადებითად მაესტრო და ობიექტივი აშუქებდა 8-8%-ით. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება მთავრობას წინა პერიოდის მსგავსად ისევ „რუსთავი 2-ზე“ ჰქონდა - დათმობილი დროის 44%.
- პარტია „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად „GDS“-ს ეთერში ჩანდა, მისთვის დათმობილი დროის 9% პოზიტიური იყო, ნეგატიურად „ქართული ოცნება“ ყველაზე დიდი დოზით „კავკასიაზე“ გაშუქდა (42%).
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დადებითი ტონით ყველაზე მეტად „რუსთავი-2-ზე“ წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 5%-ი პოზიტიური გაშუქება იყო. „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაზე უარყოფითად წინა პერიოდის მსგავსად ისევ GDS-მა გააშუქა (61%).
- ბიძინა ივანიშვილი ყველაზე პოზიტიურად ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 4%-ით. უარყოფითად კი, „ობიექტივის“ ეთერში 57%-ით.
- დროის განაწილების და თვისობრივი დაკვირვების შედეგების ანალიზისას წინა პერიოდის მსგავსად რჩება შთაბეჭდილება კონკრეტული არხების, კონკრეტული

სუბიექტების მიმართ არსებული სიმპათიების შესახებ. მაგალითად, „ობიექტივი“ აშკარად გამორჩეულად სწყალობს საარჩევნო ბლოკს - „პატრიოტთა ალიანსი“, „რუსთავი 2-ზე“ შესამჩნევია „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ სიმპათიები, „იმედი“ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს „ქართულ ოცნებას“.

- შინაარსობრივი ანალიზისას გამოვლინდა, რომ არხები მეტწილად ეთიკური სტანდარტების შესაბამისად აშუქებდნენ სუბიექტებს, თუმცა ყველა არხზე დაფიქსირდა ბალანსის დარღვევის შემთხვევები. შეგახსენებთ, რომ მონიტორინგის განვლილ ორ პერიოდშიც ტელევიზიებში მთავარი პრობლემა მხარეთა შორის ბალანსის დაუცველობა იყო.
- ისევ მოუგვარებელ პრობლემად რჩება ე.წ. კადრ-სინქრონების დაუბალანსებლობის პრობლემა, რაც წინა ანგარიშებშიც აღინიშნა. არხები ახალ ამბებს ხშირ შემთხვევაში, ე.წ. კადრ-სინქრონებით აშუქებენ. ასეთ მასალებში, ზოგიერთ შემთხვევაში, ინფორმაცია მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობითაა გადმოცემული. მედიასაშუალებები კადრ-სინქრონს არ აღიქვამენ სრულფასოვან მედიაპროდუქტად, არ ამზადებენ იმ სტანდარტით, რა სტანდარტითაც სიუჟეტს ან რეპორტაჟს და სისტემატურად არღვევენ ბალანსს. არადა, ის ჩვეულებრივი მედიაპროდუქტია, სტანდარტიც შესაბამისად ვრცელდება და მაყურებლისთვის, საზოგადოებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, დაუბალანსებელ ინფორმაციას კადრ-სინქრონის სახით მიიღებს თუ სიუჟეტის.
- წინა ანგარიშისგან განსხვავებით ამ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე არხზე პოლიტიკური სუბიექტის მხრიდან გამოთქმული ქსენოფობიის შემცველი კომენტარების ეთერში გაშვება. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მედია საშუალებებმა ასეთი განცხადებების ტირაჟირებისას ვერ გამოიჩინეს მაუწყებელთა ქცევის კოდექსით მოთხოვნილი მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპების სათანადო ცოდნა და არ მოახდინეს ქსენოფობიური განცხადებებისგან გამიჯვნა.
- საანგარიშო პერიოდში საერთო ტენდენციის სახით გამოიკვეთა სუბიექტების დადებითი ტონით გაშუქების შემცირება, რაც მედია საშუალებების მეტ კრიტიკულობასა და დაბალანსებულობაზე შეიძლება მიუთითებდეს.


შედეგები არხების მიხედვით

ქვემოთ მოცემულია რაოდენობრივი ანალიზის გრაფიკული მონაცემები, ნაჩვენებია 10 სუბიექტი 11 არხზე მათთვის დათმობილი დროის და გაშუქების ტონის მიხედვით. 10 სუბიექტი შერჩეულია გაშუქების სიხშირის და ცნობადობის კრიტერიუმების ერთობლიობით. თვალსაჩინოებისთვის, 10 სუბიექტი ერთი და იგივეა ყველა არხის შემთხვევაში, გამონაკლისია „აჭარის ტელევიზიის“ და „ტვ 25-ს“ მონაცემები. ამ უკანასკნელთა ცხრილებში დამატებულია აჭარის მთავრობა, ვინაიდან ორივე არხი უმეტესად ავტონომიის ამბებს აშუქებს და მათი მაყურებლებიც ძირითადად, აჭარის ავტონომიის მცხოვრებლები არიან.

„1 არხი“

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები დააკვირდნენ „1 არხის“ მთავარ ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებას „მოამბე 20 საათზე“ და „კვირის მოამბე“.

რაოდენობრივი ანალიზი



საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებაში „მოამბე“ ყველაზე დიდი დრო „ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებას დაეთმო, (წინა პერიოდებში მთავრობა ლიდერობდა) არხზე ყველაზე დადებითად პრეზიდენტი გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 3% დადებით ტონში იყო. ყველაზე უარყოფითად - ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი - მისთვის დათმობილი დროის 68% უარყოფით ტონში იყო. შეგახსენებთ, რომ პირველ არხზე წინა სამონიტორინგო პერიოდშიც (11 ივლისი-30 აგვისტო) ყველაზე უარყოფითი გაშუქება მიხეილ სააკაშვილის ჰქონდა. ამჯერად, ყველაზე მეტი ნეიტრალური ტონი პრემიერ-მინისტრს ჰქონდა, რომელიც მისთვის დათმობილი დროის 96% -ით ნეიტრალურ ტონში გაშუქდა.

პირველი არხი ეთერს საარჩევნო სუბიექტთა ფართო სპექტრს უთმობდა, სიუჟეტები მზადდებოდა სუბიექტების საარჩევნო აქტივობების შესახებ და ძირითადად, შეესაბამებოდა ეთიკურ სტანდარტებს, თუმცა წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, დაფიქსირდა მხარეთა შორის ბალანსის დარღვევის შემთხვევები.

[2 სექტემბერს](#) გაიმართა საპროტესტო აქცია თბილისის მერიასთან, სადაც გარემოს დამცველები თბილისის მერს, მერიის გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელის გადადგომას და სამსახურის რეორგანიზებას სთხოვდნენ. ასევე, ითხოვდნენ ყაზბეგის გამზირზე ხეების

მოჭრის ფაქტის გამოძიებას. გაშუქდა აქციის რამდენიმე მონაწილის კომენტარი, ქალაქში გაუსაძლისი ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არ იყო წაყენებულ მოთხოვნებზე მერის ან მერიის წარმომადგენლის საპასუხო კომენტარი. მომდევნო ახალი ამბავიც მერიის გამწვანების სამსახურს და ხეების მოჭრის პრობლემას ეხებოდა, თუმცა აქციის მონაწილეების მოთხოვნებზე მერიის საპასუხო კომენტარი არ ყოფილა.


13 სექტემბერს კადრ-სინქრონი მიემდგნა პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ პარტიის დატოვებას და ქართულ ოცნებაში გადასვლას. აღნიშნული იყო, რომ კანდიდატთან ერთად პარტია კიდევ 270-მა წევრმა დატოვა, რის მიზეზადაც „ალასანიას პოლიტიკური კურსის“ ცვლილება და პარტიის წევრებისთვის ხელფასების გადაუხდელობა დასახელდა. უარყოფითად წარმოჩინდა თავისუფალი დემოკრატები და მათი ლიდერი, თუმცა არ იყო საპასუხო კომენტარი და არც ამ კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა.

19 სექტემბერს გასული სიუჟეტი ეხებოდა პაატა ბურჭულაძის ბლოკიდან კონკრეტული ადამიანების გასვლას და მათ ბრალდებებს. ასევე, სიუჟეტში ნაჩვენები იყო, რომ პარტიის ლიდერები დიპლომატიური კორპუსის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ. სიუჟეტი იყო დაბალანსებული, მასში ასახული იყო ყველა შესაძლო მხარის პოზიცია, თუმცა სიუჟეტი ჟურნალისტმა დაამთავრა შემდეგი ტექსტით: "...თუმცა, შეხვედრას ელჩების უმეტესობა არ დასწრებია და დარბაზში არც არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები ჩანდნენ. სავარძლების უმეტესობა კვლავ პოლიტიკური გაერთიანების წევრებმა დაიკავეს". აღნიშნული ტექსტი არის მიკერძოებული, მასში ჩანს შეხვედრის მნიშვნელობის დაკნინების მცდელობა. შესაძლოა, შეხვედრას ვერ დაესწრნენ ელჩები და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების სრული შემადგენლობა, თუმცა ეს არ აკნინებს შეხვედრას, რადგანაც მსგავსი შეხვედრების მიზანი მოწვეული ორგანიზაციების ინფორმირებაა და პირველი პირები დაესწრებიან, თუ მათ მიერ წარგზავნილი წარმომადგენლები, ინფორმირების მიზანი მაინც მიიღწევა. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტის ზემოაღნიშნული ტექსტი არანაირ მნიშვნელოვან ინფორმაციას არ აწვდიდა მაყურებელს და ტოვებდა მიკერძოების შთაბეჭდილებას. ჟურნალისტი უნდა მოერიდოს მსგავს ტექსტებს და ახალ ამბებში მნიშვნელოვანი ფაქტების გადმოცემით შემოიფარგლოს.

„რუსთავი 2“

სამონიტორინგო პერიოდში „რუსთავი 2“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „კურიერი“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 21 საათზე), „შაბათის კურიერი“ (შაბათს 21 საათზე) და გადაცემას „P.S.“ (ყოველ კვირას - 21 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი



„რუსთავი 2 -ის“ საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო ამჯერად „ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო, წინა პერიოდებში რუსთავი-2-ზეც მთავრობა ლიდერობდა. ყველაზე დადებითად მიხეილ სააკაშვილი წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 100%-ში, ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი (52%) ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა. ყველაზე მეტი ნეიტრალურ ტონში გაშუქება (100%) ბლოკს - „პატრიოტთა ალიანსი“ ჰქონდა. რუსთავი 2 კვლავ გამოირჩევა ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მიმართ განსაკუთრებული კრიტიკულობით.

ეთიკური თვალსაზრისით „რუსთავი 2“-ზეც კვლავ პრობლემად რჩება ბალანსის დარღვევის ფაქტები.

3 სექტემბრის სიუჟეტი წამყვანმა ასე წარადგინა: „ქართულმა ოცნებამ კანონში ისეთი ცვლილება შეიტანა იპოთეკარებისთვის ქონების წართმევა უფრო მარტივი გახდა“- სიუჟეტი და ჟურნალისტის ჩართვა მიემდვნა კერძო იპოთეკარების პრობლემას, სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ ქართული ოცნების მიერ 2013 წელს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილება იპოთეკარების უფლებებს არღვევდა და მათ უსამართლოდ ტოვებდა საცხოვრებლის გარეშე.

სიუჟეტის მიხედვით აღნიშნული ცვლილება ქართუ ბანკის ინტერესების გამო შეიტანეს კანონში. სიუჟეტში ქართული ოცნების მიმართ ბრალდებებს გამოთქვამდა ამირან გიგუაშვილი, რომელიც ჟურნალისტმა საკუთარ ტექსტში როგორც ადვოკატი წარადგინა, თუმცა ტიტრებიდან გავიგეთ, რომ ის თავისუფალი დემოკრატიების გლდანის მაჟორიტარობის კანდიდატი ყოფილა. ჟურნალისტი, ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაციის

წარმომადგენელი, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წევრი ერთ ხმაში აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, ქართულ ოცნებას და ქართულ ბანკს, თუმცა არც ერთი ბრალდებული მხარის კომენტარი ან კომენტარის მოპოვების მცდელობა არ ჩანს. სიუჟეტი იყო მიკერძოებული, დაუბალანსებელი.

4 სექტემბრის სიუჟეტი რუსთავი 2-ს და ქიზარ ხალვაშის დავაში ახლად გამოჩენილ ხელშეკრულებას მიეძღვნა, რომლის მიხედვითაც, თითქოს რუსთავი-2-ზე ხალვაშს არანაირი უფლებები არ ჰქონია, არ აქვს და ის ირაკლი ოქრუაშვილს წარმოადგენდა.

„როგორც ირკვევა ბიზნესმენს რომელიც ახლა ტელეკომპანიის წილებს მოითხოვს სულაც არ ჰქონია ამის უფლება.“ აღნიშნა ჟურნალისტმა და ამ ტექსტით ხალვაშსა და ოქრუაშვილს შორის გაფორმებულ ხელშეკრულების ნამდვილობა ეჭვგარეშე დააყენა.

რუსთავი 2-ის ჟურნალისტი ხელშეკრულებაში მოყვანილ ყველა ინფორმაციას მაყურებელს, როგორც დადასტურებულ ფაქტს, აწვდის. ჟურნალისტი აკეთებს დასკვნებს, რომელთა უტყუარობაც რამდენიმე წყაროსთან არ არის გადამოწმებული და ეყრდნობა მხოლოდ ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობაც დადასტურებული არ არის.


სიუჟეტის ავტორი, ქიზარ ხალვაშს ტყუილში ადანაშაულებს. სიუჟეტში იყო ოქრუაშვილის და მისი ადვოკატის კომენტარი. ჟურნალისტის თქმით, ოქრუაშვილის ადვოკატი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების ნამდვილობას რამდენიმე საერთაშორისო ექსპერტიზა ადასტურებს. ჟურნალისტს არ უჩვენებია ამ ექსპერტიზების დასკვნები, სიუჟეტში არ ჩანს, რომ მოითხოვა ამ დოკუმენტაციის გაცნობა მაინც ოქრუაშვილის ადვოკატისგან. სიუჟეტის ბოლოს ჟურნალისტი ამბობს, რომ ქიზარ ხალვაშთან დაკავშირება ვერ მოახერხეს, თუმცა არაფერი უთქვამთ, სცადეს თუ არა მის ადვოკატთან დაკავშირება. როცა დაახლოებით 9 წუთი ეძებდა კონკრეტული სუბიექტის ლანდვას, ინფორმაციის დაბალანსების უფრო მეტი მცდელობა უნდა ეჩვენებინა მედიასამუშალებას მაყურებლისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სიუჟეტი გავიდა პ.ს-ში, სადაც ჟურნალისტებს ყოველდღიური ნიუსისგან განსხვავებით მეტი დრო და სამუშაოა აქვთ სიუჟეტის სრულყოფილად მომზადებისთვის.

„იმედი“

სამონიტორინგო პერიოდში ტვ „იმედის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „ქრონიკა“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20 საათზე), „ქრონიკის სტუდია“ (შაბათს 20 საათზე) და „იმედის დრო“ (ყოველ კვირას-20 საათზე)

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) იმედი

(30 აგვისტო-25 სექტემბერი, 2016)



რაოდენობრივი ანალიზი

„ტელეიმედზე“, ამჯერად, ყველაზე მეტი დრო „ქართული ოცნების“ გაშუქებას დაეთმო, ყველაზე დადებითად პარტიებს შორის, წინა პერიოდის მსგავსად, ისევ „ქართული ოცნება“ წარმოჩინდა (8%), ყველაზე უარყოფითად საარჩევნო სუბიექტებს შორის „ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა (60-%, ნეიტრალური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერ-მინისტრს ჰქონდა (94%). „ქართული ოცნების“ დადებითად წარმოჩენის მცდელობა, გარდა რაოდენობრივი ანალიზისა, შინაარსობრივ მაგალითებშიც შესამჩნევია.

მაგალითად: 8 სექტემბერს იმედზე გავიდა სიუჟეტი, რომელიც პარტიულ სიებს შეეხებოდა.

სიუჟეტში თითქმის ყველა ძირითადი პარტიის პირველ ათეულზე იყო საუბარი. ჟურნალისტის ტექსტი: „ექსპერტების თქმით, დაპირება, რომ სიაში ახალი სახეები იქნებოდა მხოლოდ ქართულმა ოცნებამ შეასრულა“. აქვე მოჰყავს ექსპერტის კომენტარი, რომ სხვა სიებში სიახლე არაფერია, გარდა ოცნების სიისა. ეს ინფორმაცია არაზუსტია, რამდენიმე პარტიის პირველ ათეულში მართლაც არიან ახალი სახეები, რაც ჟურნალისტის ყურადღების მიღმა დარჩა. ჟურნალისტის ტექსტებით და შერჩეული სინქრონებით აშკარად დადებითად იყო წარმოჩენილი ქართული ოცნება, რაც მიკერძოების შთაბეჭდილებას ტოვებს.

7 სექტემბრის სიუჟეტი თბილისში 10 ახალი ავტობუსის შემოყვანას მიემდგნა, სიუჟეტის მიხედვით, ახალი ავტობუსების მოსანახულებლად პოლონეთში დავით ნარმანია ჩავიდა. კადრებში ქალაქის მერი ავტობუსის ხარისხს ამოწმებს. ჟურნალისტი ამბობს, რომ თბილისში

143 ავტობუსი შემოვიდა, რაც იმ მომენტისთვის, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, ჯერ მხოლოდ 10 ავტობუსის გადმოცემაზე იყო საუბარი. ქალაქის მერი დადებითად იყო წარმოჩენილი, საუბრობდა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.


სიუჟეტში არ იყო ნათქვამი, რამდენი ავტობუსი სჭირდება თბილისს, ეს რამდენიმე ახალი ავტობუსი მართლაც შეცვლის თუ არა ეკოლოგიურ მდგომარეობას, მაშინ, როცა დედაქალაქში დაახლოებით 700-მდე ძველი ავტობუსი გადაადგილდება. ჟურნალისტი ვალდებულია, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე საზოგადოებას განსხვავებული მოსაზრებები და მრავალმხრივი ინფორმაცია შესთავაზოს. ამ შემთხვევაში, ერთ წყაროზე დაყრდნობით გადმოცემული ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფდა მაცურებლის ინფორმირებას და ქალაქის მერის დადებითად წარმოჩენას ემსახურებოდა.

15 სექტემბრის სიუჟეტში ორგანიზაცია „საქართველოს ერთგულების სახელით“ დადანაშაულებულია ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირში და პროვოკაციების შესაძლო მოწყობაში. ასევე, სიუჟეტში ყურადღებაა გამახვილებული, რომ ამ ორგანიზაციის წევრები იმედის კამერამ ნაციონალური მოძრაობის ოფისთან დააფიქსირა. უარყოფითად არის წარმოჩენილი „ნაციონალური მოძრაობა“, თუმცა არ არის მათი კომენტარი და არც ამ კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანს.

„მაესტრო“

სამონიტორინგო პერიოდში „მაესტროს“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „კონტაქტი რვაზე“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი



„მაესტროს“ ეთერში, საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე მეტი დრო ბიძინა ივანიშვილს დაეთმო. ყველაზე დადებითად მთავრობა და პრემიერ-მინისტრი წარმოჩინდა - დათმობილი დროის 8-8%. ყველაზე უარყოფითად კი - 67%-ით მიხეილ სააკაშვილი. ყველაზე მეტი ნეიტრალური ტონი, დათმობილი დროის 100% პრეზიდენტ მარგველაშვილს ჰქონდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის, ყველაზე მეტი დადებითი გაშუქება მაესტროზე ქართულ ოცნებას ჰქონდა.

ეთიკური კუთხით, მთავარი პრობლემა მაესტროზეც ბალანსის დარღვევა იყო.


16 სექტემბერს ეთერში გავიდა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ ბრალდება. „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი გორში ამბობს, რომ ოქრუაშვილმა ამომრჩევლები მოისყიდა, საკვების გადაცემით. სიუჟეტში არ არის ასახული ოქრუაშვილის ან მისი საარჩევნო შტაბის რომელიმე წარმომადგენელი და არც საპასუხო პოზიციის მოპოვების მცდელობა ჩანს. ნიშანდობლივია ის, რომ ოქრუაშვილს ოპონენტმა სისხლის სამართლის დანაშაულში - ამომრჩევლის მოსყიდვაში დასდო ბრალი. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტის მიერ გონივრული ბალანსის შექმნა აუცილებელია, რადგან საქმე გვაქვს დანაშაულში ბრალდებასთან და არა რიგით პოლიტიკურ კრიტიკასთან. ასეთი ინფორმაციის მაყურებლისთვის მიწოდებისას მედიასაშუალებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს ფაქტების გადამოწმება-დაზუსტებისთვის, რაც, ამ შემთხვევაში, არ მოხდა.

[31 აგვისტოს](#) სიუჟეტი სამტრედიელი ახალგაზრდის თვითმკვლელობამდე მიყვანის შესახებ მომზადდა. ამ საქმეში ბრალდებულია პოლიციელი. ადვოკატებისა და დაზარალებულების ინტერვიუების გვერდით, რატომღაც, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის კომენტარია, რაც არანაირი საჭიროებით არ არის ახსნილი. გაუგებარია, რატომ მოხდა მხოლოდ პარტიის წევრის კომენტარის ჩაწერა, რომელიც საქმის ირგვლივ არანაირ ინფორმაციას არ აწვდის მაყურებელს და მხოლოდ ზოგადი პოლიტიკური შეფასებით შემოიფარგლება. ჩვენ გასულ ანგარიშშიც მოვუწოდებდით მედიასაშუალებებს, რომ თუ მოახდენდნენ არაპოლიტიკურ თემაზე მომზადებულ მედიაპროდუქტში რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენლის კომენტარის გაშვებას, ისეთივე საშუალება უნდა მიეცათ სხვა ძირითადი პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებისთვის. სხვა შემთხვევაში, გაუგებარია, რა პრინციპით ხდება ერთი პოლიტიკური სუბიექტის გამორჩევა.

ტელეკომპანია GDS

სამონიტორინგო პერიოდში „GDS“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 2030 (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20:30 სთ-ზე).

რაოდენობრივი ანალიზი



GDS-ის ეთერშიც, ყველაზე დიდი დრო ბიძინა ივანიშვილს დაეთმო, ყველაზე მეტი დადებითი ტონი (96%) პარტიის „ქართული ოცნება“ მიმართ დაფიქსირდა. უარყოფითი ტონით პარტიებს შორის „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობს მისთვის დათმობილი დროის 61%-ით. 100%-იანი უარყოფითი გაშუქება ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს. ყველაზე მეტი ნეიტრალური გაშუქება ბიძინა ივანიშვილს და პრემიერ-მინისტრს ჰქონდათ - დათმობილი დროის 96-96%.

GDS-ს ეთერში აშკარად შეიმჩნევა ქართული ოცნების მიმართ განსაკუთრებული სიმპათია.

მაგალითად, 9 სექტემბერს დაახლოებით სამ წუთ-ნახევრიანი სიუჟეტი მიემდგნა ქართული ოცნების საარჩევნო სიას, მთელი სიუჟეტის განმავლობაში ოცნება დადებითად იყო წარმოჩენილი, ჟურნალისტი მხოლოდ იმ საკითხებს უძღვნიდა ტექსტებს, რომლებიც ოცნებას დადებითად წარმოაჩენდა. მაგ: ის რომ პარტიაში ახალი სახეებია, ის რომ სიაში შშმ პირია, ის რომ მაჟორიტარები სიის პირველ ორმოცდაათეულში არ არიან, ანუ პარტიამ არ დააზღვია მათი პარლამენტში მოხვედრა. ის რომ აღარ არიან ძველი სახეები, ჯაჭვლიანი; ზვიადაური; თამაზაშვილი და ა.შ.

არ არის არც ერთი კრიტიკული მოსაზრება გაჟღერებული სიუჟეტში, მაშინ, როცა სიის წარდგენის შემდეგ, ოცნება ბევრმა ადამიანმა გააკრიტიკა, სიაში რამდენიმე ისეთი ადამიანის შეყვანისთვის, რომელთა მიმართაც ბევრი ეჭვი და კითხვები არსებობდა. მხოლოდ დადებით კონტექსტში მოხდა სიის წარმოჩენა, რაც არ ასახავს ობიექტურ სურათს. მედიასაშუალება ვალდებულია, საზოგადოებას შესთავაზოს განსხვავებული მოსაზრებები და პოზიციები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

„ოცნების“ მიმართ სიმპათიით იყო განმსჭვალული კიდევ ერთ [სიუჟეტი](#), რომელიც

პარტიების საარჩევნო პროგრამებს მიეძღვნა. სიუჟეტში მთავარი სუბიექტი ოცნებაა, დანარჩენი პარტიები ოცნების პროგრამის კრიტიკით გამოდიან. ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ 200 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას ექსპერტები შესაძლებლად მიიჩნევენ, 200 ათასია სწორედ ოცნების პროგრამიდან აღებული ციფრი, ასევე ჟურნალისტი ამბობს, რომ დამსაქმებლები ბოლო პერიოდში დასაქმების დადებით ტენდეციებზე საუბრობენ. ჟურნალისტი ხაზს უსვამს ოცნების პროგრამის სიკეთეებს, მაგ: „დასაქმებას განსაკუთრებული ადგილი აქვს ქართული ოცნების პროგრამაში“ სიუჟეტში მოხვდნენ ბურჯანაძის პარტიის, ბურჭულაძის პარტიის, თავისუფალი დემოკრატების და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. ვერ მოხვდა რესპუბლიკელები, პატრიოტთა ალიანსი, ლეიბორისტები და ა.შ. რა პრინციპით შეირჩა ძირითადი სუბიექტების ნაწილი გაურკვეველია.

ტაბულა


სამონიტორინგო პერიოდში ტაბულას ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას ფოკუსი (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 19 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ტაბულა

(30 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016)



„ტაბულას“ ეთერშიც, ყველაზე მეტი დრო „ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო, ტაბულას დადებით ტონში არც ერთი სუბიექტი არ გაუშუქებია. უარყოფითი გაშუქების მხრივ, ლიდერი ტაბულაზე პარტია „ქართული ოცნება“ იყო- დათმობილი დროის 40%-ით. ნეიტრალურ ტონში ყველაზე მეტად 100-100%-თ პრეზიდენტი და პრემიერ მინისტრი გაშუქდნენ.

ტაბულაზეც ბალანსის დარღვევის შემთხვევები დაფიქსირდა.

მაგალითად, [2 სექტემბრის სიუჟეტი](#) მიემდგნა მერიის წინ მოქალაქეების და გარემოს დამცველების საპროტესტო აქციას, რომელიც თბილისში ხეები მოჭრას ეხებოდა. რამდენიმე რესპოდენტი აკრიტიკებდა თბილისის მერს და მერიას, თუმცა არ იყო წარმოჩენილი საპასუხო კომენტარი, არც მერიასთან დაკავშირების მცდელობა ჩანდა.


იმავე დღეს გავიდა მეორე [სიუჟეტი](#) სადაც ისევ მერია იყო გაკრიტიკებული და საპასუხო კომენტარი ისევ არ იყო, არც მცდელობა ჩანდა.

[6 სექტემბერს](#) თავისუფალმა დემოკრატებმა ქართული ოცნება ზეწოლაში დაადანაშაულეს, გაავრცელეს აუდიო ჩანაწერი, სადაც, მათი თქმით, ოცნების ერთ-ერთი მაჟორიტარობის კანდიდატის მმა მათ აქტივისტს ემუქრება. დასახელებულია მუქარის განმხორციელებელი კონკრეტული პირის სახელ-გვარი. მიუხედავად ამისა, არ არის საპასუხო კომენტარი, არც მოპოვების მცდელობა ჩანს. აქ ნიშანდობლივია ის, რომ თუ სხვა შემთხვევებში ბალანსის დარღვევის ფაქტები სუბიექტების მხრიდან ერთმანეთის კრიტიკისას გვხვდება, ამ შემთხვევაში, მოხდა კონკრეტული პირის კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულში (მუქარა) ბრალდება, რაც ჟურნალისტის მხრიდან მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს და აუცილებელია მეორე - ბრალდებული მხარის პოზიციის ასახვა. ამ სიუჟეტში ამის მცდელობაც არ ჩანდა.

„კავკასია“

სამონიტორინგო პერიოდში ტვ „კავკასიის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ, მთავარ საინფორმაციო გამოშვებას “დღე” (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20:30 წთ-ზე).

რაოდენობრივი ანალიზი



„კავკასიის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო. ყველაზე დადებითადაც მთავრობა გაშუქდა, დათმობილი დროის 7%. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი ადგილობრივ ხელისუფლებას (80%) და მიხეილ სააკაშვილს (100%) დაუფიქსირდა. ნეიტრალური გაშუქებით „კავკასიაზე“ პრემიერ მინისტრი ლიდერობს, დათმობილი დროის 99%-თ. „კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებები სიუჟეტების სიმწირით გამოირჩევა, ამბების გაშუქება ძირითადად კადრ-სინქრონებით ხდება. კვლავ პრობლემად რჩება რესპოდენტებზე ტიტრების არ მიწერა, ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია რესპოდენტების ვინაობის დადგენა. კავკასიაზეც ბალანსის დარღვევის პრობლემა გამოიკვეთა:


1 სექტემბერს ნაციონალურმა მოძრაობამ ქართული ოცნება საბავშვო ბაღების მასწავლებლებზე ზეწოლაში დაადანაშაულა. სიუჟეტში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ორი წევრის ბრალდებაა ასახული, სხვა არაფერი. მცდელობაც არ არის ინფორმაციის გადამოწმების. ინფორმაცია დაუბალანსებელია.

6 სექტემბერს ნაციონალურმა მოძრაობამ და თავისუფალმა დემოკრატებმა განცხადება გააკეთეს ქვეყანაში კრიმინალური ვითარების გამწვავებაზე. ინფორმაცია არ იყო გამყარებული რაიმე მტკიცებულებით. ნაციონალური მოძრაობა შინაგან საქმეთა მინისტრის და ვიცე პრემიერის კახა კალაძის პასუხისმგებლობას ითხოვდა. კალაძის მიმართ მძიმე ბრალდებები გაჟღერდა, მიუხედავად ამისა არ არის მისი საპასუხო კომენტარი და არც მოპოვების მცდელობა ჩანს.

ტელეკომპანია „პირველი“

„ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას (22 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი



ტელეკომპანია „პირველი“ ყველაზე დიდი ქრონომეტრაჟით მთავრობას აშუქებდა. ყველაზე მეტი დადებითი ტონი, მისთვის დათმობილი დროის 3%, ადგილობრივ ხელისუფლებას ერგო. ყველაზე უარყოფითადაც ადგილობრივი ხელისუფლება გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 62 %-ით, ნეიტრალური ტონით (97%-ით) პრეზიდენტი ლიდერობს.

სამონიტორინგო პერიოდში ტვ პირველი ამბებს ძირითადად კადრ-სინქრონების ფორმატში აშუქებდა, ნაკლებად ჰქონდათ სიღრმისეული სიუჟეტები. ამბების გაშუქება უმეტესად, ზედაპირულია, პრობლემა აქაც ბალანსის დაღვევაა. მაგალითად:

8 სექტემბერს გაშუქდა ბრიფინგი, სადაც ლეიბორისტებმა გააჟღერეს ბრალდება: „ქართული ოცნება დგას სამევახშეო კანტორების, ონლაინ სესხებისა და ყომარბაზების ბუდე კაზინოების სათავეში. მათი წაქეზებით ეს კრიმინალური ორგანიზაციები მასობრივად მარცვავდნენ და მარცვავენ ჩვენს მოსახლეობას. მრავალი ადამიანი მიიყვანეს თვითმკვლელობამდე.“ არ იყო წარმოდგენილი გუგავას ბრალდებების რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება, არ იყო ქართული ოცნების

წარმომადგენლების კომენტარი და არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანდა. დარღვეული იყო ბალანსი.

2 სექტემბერს ვაკეში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ოფისის მინები ჩაამსხვრიეს. ჟურნალისტის ტექსტის მიხედვით ელენე ხომტარია ამ ფაქტს ქართულ ოცნებას უკავშირებს. თავად კანდიდატის სინქრონიზაცია ოცნებაა დადანაშაულებული ოპონენტებთან ამ ფორმით ბრძოლაში. ამ ინფორმაციას არაფერი ადასტურებს, არ არის ქართული ოცნების ანდა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის საპასუხო კომენტარი.

2 სექტემბერს პატრიოტთა ალიანსის ერთ ერთმა ლიდერმა დავით თარხან მოურავმა აჭარაში მაჟორიტარობის კანდიდატის წარდგენისას გააკეთა ქსენოფობიური განცხადება და გამოავლინა თურქობობა: „პირველ რიგში დავიცავ აჭარას თურქული ექსპანსიისგან და აღარ იქნება ქართველი კაცი სხვისი მოსამსახურე.“ საინფორმაციოს წამყვანი არ გაემიჯნა თურქოფობიულ განცხადებას და არ განუმარტა მაყურებელს, რომ ეს არის დაუშვებელი. არადა, ეთიკური წესები ჟურნალისტს ავალდებულებს, ებრძოდეს არატოლერანტულ განცხადებებს საკუთარ ეთერში.

ტკ „ობიექტივი“


ტელეარხის ეთერში მონიტორები მთავარ საინფორმაციო გამოშვებას აკვირდებოდნენ, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს 19:30 სთ-ზე გადის.

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ობიექტივი

(30 აგვისტო-25 სექტემბერი, 2016)



წინა სამონიტორინგო პერიოდის მსგავსად ობიექტივზე ყველაზე მეტი დრო ბლოკს „პატრიოტთა ალიანსი“ დაეთმო. შეგახსენებთ, რომ ამ ბლოკის ერთ ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი მედია კავშირ ობიექტივის ერთ ერთი დამაარსებელია. დადებითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (13%) ისევ „პატრიოტთა ალიანსს“ აქვს. უარყოფითი ტონით (100-%) მიხელ სააკაშვილი ლიდერობს. ყველაზე მეტი ნეიტრალური გაშუქება დათმობილი დროის (100-100%) პრეზიდენტს და პრემიერს ჰქონდა.

არხზე აშკარად შეიმჩნევა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების ხშირი და დადებითი გაშუქება. ბალანსის დარღვევაც ძირითადად პატრიოტთა ალიანსის სასარგებლოდ ხდებოდა. მაგალითად [1 სექტემბრის სიუჟეტში](#) ნაჩვენებია პატრიოტთა ალიანსის ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატსა და გარემოს დაცვის მინისტრს შორის ბორჯომში პლატოზე გამართული გასაუბრება. სადაც ზურაბ ხაჩიძე მინისტრს პლატოს ტყიდან დაავადებული ხეების დროულად არ გატანაში დებს ბრალს. სიუჟეტში ნათქვამია, რომ აგულაშვილისგან ხაჩიძემ პასუხი ვერ მიიღო. სიუჟეტში მოტანილია ვიდეო ჩანაწერი, რომელიც როგორც ირკვევა ტელევიზიას ხაჩიძემ წარუდგინა სადაც ჩანს ხაჩიძის კითხვა და არ ჩანს მინისტრის პასუხი. ამას მოსდევს ხაჩიძის უკვე ჟურნალისტისთვის მიცემული კომენტარი, სადაც ისიც ამბობს, რომ მინისტრმა ვერ გასცა პასუხი. ხაჩიძე სიუჟეტში სამინისტროს მხრიდან უსაფრთხოების წესების დარღვევაზეც საუბრობს. სიუჟეტის დასასრულს ნათქვამია, რომ ხაჩიძის ბრალდებისთვის მინისტრს არც დღეს უპასუხია. სიუჟეტიდან არ ჩანს, ითხოვეს თუ არა მინისტრის კომენტარი, ანდა რას პასუხობდა მინისტრი ზემოხსენებულ ვიდეოში ზურაბ ხაჩიძეს. სიუჟეტში იყო სატყეო სააგენტოს წარმომადგენლის კომენტარი, თუმცა რაკი მთელი სიუჟეტი მინისტრის კრიტიკას მიეძღვნა სასურველი იქნებოდა მისი კომენტარის მოპოვების მცდელობა მაინც ასახულიყო სიუჟეტში.


1 სექტემბერს ნაციონალური მოძრაობის ოფისში გამართულ ბრიფინგზე, პარტიის წევრებმა გააჟღერეს ბრალდება, თბილისის მერიის მიმართ. მათი თქმით მერია საბავშვო ბაღების თანამშრომლებზე ზეწოლას ახდენდა სპეციალური ანკეტების შევსების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში მართალია ჟურნალისტი ამბობს, რომ ბრალდებები ნაციონალური მოძრაობის წევრებმა გააჟღერეს, თუმცა ეს არ ათავისუფლებს მედია საშუალებას გონივრული ბალანსის დაცვის აუცილებლობისაგან. აღნიშნულ მედია პროდუქტში აუცილებლად უნდა ყოფილიყო თბილისის მერიის წარმომადგენლის კომენტარი ანდა მისი მოპოვების მცდელობა ასახულიყო.

8 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილმა ერთ ერთ მორიგ რეგიონულ შეხვედრაზე პატრიოტთა ალიანსს მოუწოდა ღიად დაეფიქსირებინათ მათი საგარეო კურსი. ობიექტივის მთავარ საინფორმაციოში ეს მოწოდება გავიდა ჯამში 8 წამის მოცულობით, რასაც მოყვა ალიანსის ერთ ერთი ლიდერის დავით თარხან მოურავის ხანგრძლივი საინფორმაციოს ფორმატისთვის შეუსაბამო 4,5 წუთიანი საპასუხო მონოლოგი. ზოგადად ობიექტივი გამოირჩევა პატრიოტთა ალიანსის მიმართ სიმპათიით, ეს წინა პერიოდის ანგარიშებშიც აღვნიშნეთ.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია“

მონიტორები აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას („მთავარი ამბები 21 საათზე“) აკვირდებოდნენ.

რაოდენობრივი ანალიზი



აჭარის ტელევიზიის ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართული ოცნების“ გაშუქებას დაეთმო, ყველაზე მაღალი დადებითი გაშუქების მაჩვენებელი ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა, დათმობილი დროის 8%. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი საარჩევნო სუბიექტებს შორის ნაციონალური მოძრაობის მიმართ დაფიქსირდა, მისთვის დათმობილი დროის 30%. ნეიტრალური გაშუქებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტს ჰქონდა - 100-100%.

აჭარის ტელევიზიის ეთერში სამონიტორინგო პერიოდში ქსენოფობიის და თურქოფობიის ფაქტის შეუსაბამო ტირაჟირება დაფიქსირდა. ასევე იყო ბალანსის დარღვევის რამდენიმე შემთხვევა.

6 სექტემბერს სიუჟეტი ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატს არმაზ ახვლედიანის მხარდასაჭრ პრეზენტაციას მიემდგნა, ის ჟურნალისტის ტექსტებით დადებითად იყო წარმოჩენილი. ჟურნალისტს მრავლად ჰქონდა გამოყენებული პრეზენტაციაზე ახვლედიანის საქებრად გაჟღერებული ფრაზები: წესიერი, თავმდაბალი, პროფესიონალი და ა.შ. სიუჟეტის მიხედვით ქართული ოცნება, აჭარის ადგილობრივი მთავრობა და მთავრობის ხელმძღვანელი ზურაბ პატარაძე დადანაშაულებულნი არიან ახვლედიანის მომხრეების გადაბირებასა და მათზე ზეწოლაში. ახვლედიანმა ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლები ჟანტაჟში და მუქარაშიც დაადანაშაულა. დაასახელა კონკრეტული ფაქტები. მიუხედავად მძიმე ბრალდებებისა არ იყო საპასუხო კომენტარები, არც მათი მოპოვების მცდელობა ჩანდა. აღნიშნულ სიუჟეტში დარღვეული იყო ბალანსი.


[5 სექტემბერს](#) „გირჩის“ ოფისს ბათუმში კვერცხები ესროლეს, ამ ფაქტს პარტიის წარმომადგენელი ხელისუფლებას და ქართულ ოცნებას უკავშირებს. ეს შესაძლოა ნახევრად ხუმრობით გაჟღერებული ბრალდება უპასუხოდაა დარჩენილი. რაკი ჟურნალისტმა მნიშვნელოვნად ჩათვალა ამ ბრალდების ეთერში გაშვება საპასუხო კომენტარზეც უნდა ეზრუნა.

ტელეკომპანია [აჭარამ 21 სექტემბერს](#) მაყურებელს ბათუმში თურქული სკოლის აშენებასთან დაკავშირებით პოლიტიკოსთა მოსაზრებები შესთავაზა. მათ შორის იყო პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლის კომენტარი: „აჭარაში უნდა შეწყდეს თურქული ექსპანსია“ მონიტორინგის პერიოდში რამდენჯერმე დაფიქსირდა „პატრიოტთა ალიანსის“ მხრიდან ქსენოფობიური განცხადებების გაკეთება, სამწუხაროდ მედია როგორც ამ, ასევე სხვა შემთხვევებშიც ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მსგავსი განცხადებების ტირაჟირებისას მედია საშუალება აუცილებლად უნდა გაემიჯნოს ასეთ ფაქტს, მაყურებელს უნდა განუმარტოს, რომ ეს განცხადება არის ქსენოფობიური და დაუშვებელი. თანამედროვე ეთიკური სტანდარტები ავალდებულებს ჟურნალისტს პოზიცია გამოხატოს, გააკრიტიკოს არატოლერანტული, ქსენოფობიური განცხადება და მისი ავტორი. სამწუხაროდ აჭარის ტელევიზიამ ეს არ გააკეთა, რითიც ხელი შეუწყო ქსენოფობიის უპირობო ტირაჟირებას.

ტელეარხი „ტვ25“

„ტვ 25“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მაცნე“ (19 სთ 30 წთ)

რაოდენობრივი ანალიზი



„ტვ 25“-ის ეთერში ყველაზე მეტი დრო ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო, დადებითი ტონით (3%) აჭარის მთავრობა ლიდერობს. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება (63%) ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა. მაღალი ნეიტრალური გაშუქება (100%) პრეზიდენტს ხვდა წილად.

ნაციონალური მოძრაობის აქტიური გაშუქება მათ სასარგებლოდ ბალანსის დარღვევაშიც გამოიხატა, მაგალითად - „პეტრე ზამზახიძე საარჩევნო უბნებზე კანონის დარღვევის ფაქტებზე საუბრობს“- ამ სათაურით გავიდა [კადრ-სინქრონი](#) ტელეარხის საინფორმაციოში. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ხელისუფლება ბათუმში საარჩევნო უბნების კომისიების თავმჯდომარეების და მოადგილეების უკანონოდ დანიშვნაში დაადანაშაულა, მისი თქმით ამ პოსტებზე ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი ადამიანები ინიშნებიან. არ იყო ხელისუფლების, საარჩევნო ადმინისტრაციის ან ქართული ოცნების საპასუხო კომენტარი. ამბავი დაუბალანსებლად და მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით იყო გადმოცემული.

[24 სექტემბერს](#) გასული კადრ-სინქრონის მიხედვით: „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი აჭარის მთავრობის მეთაურს ზურაბ პატარაძეს კორუფციაში ადანაშაულებს, ასახელებს კონკრეტულ ფაქტს სადაც მისი თქმით კორუფციის ექვი ჩნდება. სიუჟეტში არ არის მოცემული აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის კომენტარი და არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანს. არის ზოგადი ფრაზა, რომ დღეს მთავრობაში კომენტარი არ გაკეთებულა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ბალანსის დაცვად, სიუჟეტიდან არ ჩანს მიმართეს თუ არა მთავრობას კომენტარისთვის სიუჟეტში გაჟღერებულ კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებით.